ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო ანგარიში

განათლებისა და ტრენინგების გზით დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ციფრული წიგნიერების გავრცელების შესახებ

2022 წლის მაისი

შემაჯამებელი ნაწილი

შესავალი და სტრუქტურა

გეოგრაფიულ, ენობრივ და კულტურულ საზღვრებს შორის კომუნიკაცია ასეთი სწრაფი და მარტივი არასოდეს ყოფილა. ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომა ხელს უწყობს აქამდე არარსებულ სოციალური განვითარებისა და განათლების შესაძლებლობებსაც, კერძოდ, ციფრულ განათლებას, უფლებებისა და შესაძლებლობების გაძლიერებასა და „ინკლუზიურ“ მომავალს შორის არსებული კავშირების საშუალებით. ციფრული განათლების ტექნოლოგიებისა და რესურსების ეფექტიანი და გონივრული გამოყენება მთელი ცხოვრების მანძილზე ცოდნის მიღების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც ახალგაზრდებს საზოგადოების აქტიურ და პასუხისმგებელიან წევრებად ჩამოყალიბებაში ეხმარება. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდები კარგად იცნობდნენ ციფრულ ტექნოლოგიებს, კერძოდ, მათ უნდა იცოდნენ არა მხოლოდ ის, თუ როგორ მუშაობენ ტექნოლოგიური სისტემები, არამედ თუ რა ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ მათ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ციფრული ტექნოლოგიების გავლენასაც ინდივიდუალურ და კოლექტიურ კეთილდღეობაზე.

შესაძლებლობის უზრუნველყოფის პარალელურად, ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი და შეუზღუდავი განვითარება (ახალგაზრდა) ადამიანებს მუდმივად მრავალი ონლაინ საფრთხის წინაშე აყენებს. ესენია: დეზინფორმაცია, ყალბი ინფორმაცია და პოლიტიკური პროპაგანდა, შეთქმულების თეორიები, კიბერბულინგი, ექსტრემისტულ ორგანიზაციებში ჩათრევის მცდელობები, კიბერ მტაცებლები, ფიშინგი, თაღლითები და მავნებელი კომპიუტერული პროგრამები. ცნობილია, რომ დეზინფორმაციის (მაგ., რასაც "ყალბ ინფორმაციას" უწოდებენ) სხვადასხვა ფორმების ზემოქმედების რისკის ქვეშ ყველა ასაკის სულ უფრო მეტი რაოდენობის ადამიანი ექცევა. პრობლემას წარმოადგენს ინფორმაციის დიდი რაოდენობა და მისი გაფილტვრის ეფექტიანი გზების სიმცირეც. ამიტომ, აუცილებელია, რომ ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, კრიტიკულად მიუდგნენ, შეაფასონ და გადაამოწმონ ინფორმაცია და იყვნენ უფრო მედეგი საფრთხეების მიმართ. ონლაინ საშუალებებში ინფორმაციით მანიპულირებამ, რომელიც სულ უფრო იხვეწება და ადვილად გავრცელებადი ხდება, ძირითადი მედია საშუალებებისა და ინფორმაციის სანდო წყაროების მიმართ ადამიანების ნდობა შეარყია.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ გამორჩეული შესაძლებლობა, მისცენ ახალგაზრდებს საჭირო ცოდნა ზემოთ აღნიშნული საფრთხეების შესახებ. ვინაიდან ახალგაზრდები ციფრული სამყაროს მუდმივი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებიან, განათლებასა და სწავლებაში ჩართულ პირებს აქვთ მნიშვნელოვანი ამოცანა, მუდმივად იყვნენ ცვალებადი გარემოსა და მოვლენების საქმის კურსში და ახალგაზრდებს გამოუმუშავონ კრიტიკული აზროვნების ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ განსჯაში,

რთული რეალობის ანალიზსა და მოსაზრებისა და ფაქტების ერთმანეთისგან გარჩევაში დაეხმარება. ამრიგად, განათლება ახალგაზრდებს ციფრულ სამყაროში წარმატებით ორიენტაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაძლიერებაში ეხმარება.

წინამდებარე ანგარიში ემყარება ევროპის კომისიის ციფრული განათლების სამოქმედო გეგმას (2021-2027 წწ.) და მოქმედება 7-ის ფარგლებში განსაზღვრულ მანდატს, რომელიც ითვალისწინებს მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის განათლებისა და სწავლების გზით დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და ციფრული წიგნიერების დონის ამაღლების სახელმძღვანელოს მომზადებას. განათლებისა და სწავლების როლი მდგომარეობს ახალგაზრდებისათვის იმ ცოდნის მიცემაში, რომელიც აუცილებელია ციფრულ ეპოქაში ცხოვრებისა და განვითარებისთვის, აგრეთვე დეზინფორმაციით გამოწვეული საფრთხეებისაგან თავის დასაცავად.

ანგარიშში თავმოყრილია კომისიის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული ძირითადი მოსაზრებები ამ განვითარებადი და რთული სფეროს გამოწვევებთან და შესაძლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, აგრეთვე წინასწარი დასკვნები და რეკომენდაციები.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის ბევრი ნაწილი ამ სფეროს მიმოიხილავს და ამ კუთხითაც სასარგებლოა, ის, პირველ რიგში, არის რესურსი და საცნობარო დოკუმენტი მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის 9 სახელმძღვანელოს შესამუშავებლად, რაც ექსპერტთა ჯგუფის მეორე და საბოლოო შედეგს წარმოადგენს. ანგარიშის სამიზნე აუდიტორია შედგება ევროკავშირის, ეროვნული და რეგიონული დონის პოლიტიკოსებისაგან, სამოქალაქო საზოგადოებისაგან, სამეცნიერო წრეებისაგან, განათლებისა და სწავლების სფეროს წარმომადგენლებისა და დაინტერესებული მოქალაქეებისაგან.

მთავარი გამოწვევები ციფრული წიგნიერების გავრცელებასა და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში

ანგარიშში, სხვა გამოწვევებთან ერთად, აღნიშნულია შემდეგი გამოწვევები:

- საჭიროა მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს იმ საჯარო და კერძო დაინტერესებული მხარეების ფართო ქსელის აქტიური ჩართვა, რომლებიც დაკავებული არიან **ონლაინ ინფორმაციის შექმნით, მხარდაჭერითა და მოხმარებით,** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა სახის ჩართულობას ქნება ეფექტიანი და ხანგრძლივი ზემოქმედება.
- ციფრული წიგნიერების და დეზინფორმაციის სფერო დინამიური და მუდმივად ცვალებადია. ამ ცვლილებებთან აქტიურად გასამკლავებლად მასწავლებლებსა და ახალგაზრდებს სჭირდებათ **როგორც მოტივაცია, ასევე შესაფერისი ცოდნა.**
- ციფრულ წიგნიერებასა და დეზინფორმაციასთან დაკავშირებული ბევრი ინიციატივა წმინდა ტექნიკური ხასიათისაა (როგორ მუშაობს ტექნოლოგია) და საკმარისად არ არის ორიენტირებული **კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე.**

- სკოლებში ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების დიდი ნაწილი მასწავლებლებზეა ორიენტირებული, რომლებშიც მოსწავლეები არ არიან ჩართული.
- **მასწავლებლებს ხშირად აკლიათ კვალიფიკაცია** საკლასო ოთახებში და სკოლებში ისეთი ეფექტიანი სასწავლო სივრცის შესაქმნელად, სადაც მოსწავლეებს ექნებათ შესაძლებლობა, **აქტიურად იმსჯელონ** ციფრული წიგნიერების და დეზინფორმაციის საკითხებზე. მასწავლებლებს ხშირ შემთხვევაში ასევე არ აქვთ საკმარისი დრო ციფრული სამყაროს სწავლებისთვის **საჭირო ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად.**
- **მოსწავლეებს ხშირად ერიდებათ და არ სურთ მასწავლებლებთან საკუთარი ონლაინ ცხოვრების განხილვა,** თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ ციფრული სამყარო მომხიბლავია და ძალიან აქტუალური მათ ცხოვრებაში.
- არსებობს მცდარი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა ახალგაზრდას შეუძლია ციფრული ტექნოლოგიების სწორად გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ახალგაზრდას კარგი ციფრული უნარ-ჩვევები აქვს, არსებობენ ისეთებიც, რომლებსაც **ციფრული განათლების დონე დაბალი აქვთ და ელემენტარული ამოცანების შესრულებაც არ შეუძლიათ.**
- **მასწავლებლები და მშობლები არ არიან საკმარისად ინფორმირებული** ციფრული მედიის გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და რისკების შესახებ.
- ციფრული წიგნიერების სწავლების უნარები მასწავლებელთა **პროფესიული მომზადების ეტაპზე** ცალკე საგნად არ არის წარმოდგენილი.
- **მასწავლებლებს არ აქვთ სახელმძღვანელო მითითებები** ციფრული წიგნიერებისა და დეზინფორმაციის საკითხებზე სამუშაოდ, აღინიშნება სასწავლო რესურსების ნაკლებობაც.
- **ეფექტიანი პროგრამების მომზადება საკმაოდ რთულია**, ვინაიდან ციფრული წიგნიერების სფერო კომპლექსურია, ხოლო საგანმანათლებლო მასალები ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი.
- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული მაგალითები თითქმის არ არსებობს,** რაც პოლიტიკოსებს ეფექტიანი და ნაკლებად ეფექტიანი მიდგომების ერთმანეთისგან გარჩევის შესაძლებლობას არ აძლევს.
- დეზინფორმაციასთან ბრძოლის ზოგიერთი მიდგომა საფრთხეს უქმნის სიტყვის თავისუფლებასა და ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის პრინციპებს, ისევე როგორც ინტერნეტის ტექნიკურ ფუნქციონირებას. სხვა მიდგომებმა შესაძლოა ინტერნეტის ფრაგმენტაციაც გამოიწვიონ.
- დეზინფორმაციასთან დაკავშირებული **ტექნოლოგიების, მათ შორის ალგორითმების დახვეწა და ავტომატიზაცია დეზინფორმაციასთან ბრძოლას კიდევ უფრო ართულებს**.

დასკვნები და რეკომენდაციების მასწავლებლებისა და პედაგოგებისათვის

გამოვლენილი გამოწვევების საფუძველზე და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგებზე დაყრდნობით ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი რეკომენდაციები.

- **მოსწავლეებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომები ყველაზე ეფექტიანია** ციფრული წიგნიერების გასავრცელებლად და ონლაინ

დეზინფორმაციის მიმართ მოსწავლეების მდგრადობის გასაძლიერებლად. მოსწავლეებისათვის (განსაკუთრებით საშუალო და უფრო მაღალი საფეხურის) ციფრული მედია ხშირ შემთხვევაში უფრო კომფორტულია და მას ხშირად იყენებენ. მასწავლებლის როლი ამ შემთხვევაში ძირითადად **საჭირო კონტექსტის შერჩევაში, კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და მხარდაჭერის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.** მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ერთმანეთის პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობა, აგრეთვე გულწრფელი საუბრები ხელს შეუწყობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ნდობის ჩამოყალიბებასა და მათ შორის არსებული ურთიერთობის გაღრმავებას. **მასწავლებლებს სჭირდებათ მხარდაჭერა** ამ ახალი როლისა და პასუხისმგებლობის ასაღებად საჭირო შესაძლებლობების გაძლიერებაში.

- სკოლის დონეზე ციფრული წიგნიერების და მედია წიგნიერების ინიციატივები ყველაზე ეფექტიანია, როდესაც ისინი ხორციელდება როგორც სხვადასხვა საგნებში ინტეგრირებული, ასევე დამოუკიდებელი საგნის სახით სწავლების გზით, რაც ნიშნავს იმას, რომ სკოლაში ეს ორივე მიდგომა კარგად მუშაობს. ძალიან ეფექტიანია **ფორმალური და არაფორმალური საგანმანათლებლო ინიციატივების კომბინაციაც.**
- **მასწავლებლებს სჭირდებათ მითითებები ციფრულ წიგნიერების კრიტერიუმებთან** დაკავშირებით, კერძოდ, რა კრიტერიუმები უნდა იქნეს გამოყენებული რესურსებისა და მიდგომების შერჩევისას. მათ ასევე სჭირდებათ დახმარება **გაკვეთილების გეგმის შემუშავებაში** მათი გადატვირთული სამუშაო გრაფიკის პირობებში.
- იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ მოსწავლეს ციფრული პლატფორმებისა და სოციალური მედიის გამოყენების დიდი გამოცდილება აქვს, მათ შეუძლიათ **მასწავლებლებს მიაწოდონ ბევრი ისეთი ინფორმაცია, რომელიც მასწავლებლებს სასწავლო პროცესში გამოადგებათ.**
- მასწავლებლებს სჭირდებათ საკუთარი **საქმიანობისა და ციფრულ გარემოში სწავლების გამოწვევებთან გამკლავების ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები.** პრობლემების დასაძლევად მათ შეიძლება კოლეგების დახმარებაც დასჭირდეთ. თუ შესაძლებელია, ისინი შეიძლება **ჩაერთონ მასწავლებელთა ქსელებში,** სადაც ხდება ასეთი გამოწვევებისა და შესაძლო გადაწყვეტილებების განხილვა.
- მასწავლებლებსა და პედაგოგებს, როგორც ექსპერტებს პედაგოგიკის დარგში, **მოსწავლეთა ცოდნის დონის ასამაღლებლად შეუძლიათ გამოიყენონ ციფრული სამყაროს უზარმაზარი პოტენციალი.** დღეს მოსწავლეებს შეუძლიათ მოიძიონ უახლესი ინფორმაცია, ონლაინ დაამყარონ ურთიერთობა ექსპერტებსა და სხვა მოსწავლეებთან, დაუკავშირდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მოსწავლეებს და ითანამშრომლონ მათთან, იყვნენ ინფორმირებული საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ჩაატარონ კვლევები, და სხვ.
- მასწავლებლებს აქვთ **უფლება ასწავლონ უსაფრთხო გარემოში.** სკოლის დონეზე უნდა შეიქმნას მექანიზმები, რომლებიც მათ დაეხმარება უსაფრთხოების განცდასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში. ამ მიზნით შესაძლებელია სკოლის ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების ჩართვა.
- ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის უნივერსალური მიდგომა არ არსებობს. **მასწავლებლებს ყველაზე კარგად შეუძლიათ იპოვონ ის მეთოდები, რომლებიც საუკეთესოა მათ სასწავლო გარემოში,**

მოსწავლეთა ცოდნის დონის, საგნის, სკოლის ხელმძღვანელობის მხარდაჭერის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა, და სხვ. გათვალისწინებით.

- **არსებობს განსხვავება დეზინფორმაციასა და დაუსაბუთებელ ინფორმაციას შორის,** განსხვავებულია მათთან დაკავშირებული გამოწვევები და გადაწყვეტილებებიც. ეს გავლენას ახდენს სწავლებაზე.
- მასწავლებლებს სჭირდებათ დახმარება იმ **ეფექტიანი რესურსებისა და სტრატეგიების შერჩევასა და განხორციელებაში,** რომლებიც მოსწავლეებს კრიტიკულ ანალიზს უვითარებენ.
- დეზინფორმაცია ხშირად მიმართულია ისეთ ადამიანებზე, რომლებიც უმრავლესობის წარმომადგენლები არ არიან. ამიტომ, **დეზინფორმაციისა და მისი შედეგების განხილვა თანასწორობის პრიზმაში უნდა მოხდეს.**
- **სტუდენტების დაინტერესება ციფრული წიგნიერების დონის ამაღლებით** შეიძლება რთული ამოცანა აღმოჩნდეს. ციფრული წიგნიერების გასავრცელებლად სასარგებლოა სტრატეგიების ერთმანეთთან გაზიარება და ახალი სტრატეგიების ათვისება.
- აუცილებელია იმ სხვადასხვა სამართლებრივი და კონფიდენციალურობის საკითხების ცოდნა, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლეთა ციფრულ სამყაროში. მაგ., ბლოგები და სოციალური მედიის პლატფორმები, შეხებასთან. აუცილებელია ციფრულ მედიასთან დაკავშირებული კონფიდენციალურობის ზოგადი საკითხების ცოდნაც.
- ციფრულ სამყაროში განათლების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მასწავლებლებისთვის სასარგებლო იქნება საკუთარი **სასწავლო რეპერტუარის გაფართოება** და გამდიდრება. მაგალითად, ვიდეოებსა და პოდკასტებთან, ონლაინ კვლევებსა და გამოკითხვებთან, თამაშებთან, სოციალურ მედია კამპანიებთან, ამბების გადმოცემასთან, სიძულვილის ენასა და კიბერბულინგთან ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარება. გარდა ამისა, აუცილებელია ცოდნის გაღრმავება ციფრულ სამყაროსთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, როგორიცაა „ფაქტების უარყოფა“, „სიმართლის მიკერძოებულობა“, „ექო-კამერები“ „მტკიცებულების მიკერძოებულობა“, „იდენტობის საფრთხე“, „უკუეფექტი“, „სიმართლის ილუზია“, "იაფფასიანი ფეიკები" და "დიფფეიკები".
- დეზინფორმაციასთან დაკავშირებული დისკუსიები, მაგალითად, დისკუსიები შეთქმულების თეორიების შესახებ, შეიძლება საკამათო და წინააღმდეგობრივი იყოს და (ძლიერი) ემოციები გამოიწვიოს. ამიტომ აუცილებელია **საკამათო საკითხების წამოჭრისა და მათი განხილვის სწორად წარმართვის ცოდნა**. ხშირ შემთხვევაში, ეს არის დისკუსიების ეფექტიანად წარმართვისა და კლასში ისეთი უსაფრთხო გარემოს შექმნის უნარი, რომელშიც მოსწავლეები თავს კომფორტულად გრძნობენ და თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებებს. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლის ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები.
- დეზინფორმაციასთან ბრძოლასა და ციფრული წიგნიერების გავრცელებაში მასწავლებლებს დახმარება შეიძლება შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებმაც აღმოუჩინონ.
- **მოსწავლეებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ციფრული წიგნიერების გასავრცელებლად საჭირო სხვადასხვა ციფრული მასალებისა და სასწავლო**

რესურსების შექმნაში და ფართოდ გაავრცელონ საკუთარი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები. ასეთ შემთხვევებში სწავლების ტრადიციული მიდგომები ნაკლებად ეფექტიანია. მასწავლებლებს შეუძლიათ ამ პროცესში მოსწავლეებს გაუწიონ გარკვეული ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა. **მოსწავლეების მიერ სხვა მოსწავლეების სწავლებაც** (თანატოლთა განათლება) საინტერესო მიდგომაა.

- ციფრული წიგნიერების დონის ყველაზე ეფექტიანად ამაღლება ხდება იმ დროს, როდესაც **მოსწავლეებთან მუშაობა იწყება მათთვის საინტერესო საკითხებიდან**, მათთვის ყველაზე კარგად ნაცნობი მოწყობილობების გამოყენებით. ეს მათ მისცემს სტიმულს, მთელი ცხოვრების მანძილზე გააგრძელონ ცოდნის მიღება, გახდნენ პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეები და საზოგადოების აქტიური წევრები. **კოლეგებს, მშობლებსა და ფართო საზოგადოებას** ერთობლივი ძალისხმევით ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ.
- **მასწავლებლებსა და მკვლევარებს შორის ორმხრივი კავშირი** ეხმარება როგორც სამეცნიერო, ასევე სასწავლო პროცესებს. ციფრული წიგნიერება უახლეს მეცნიერულ ცოდნას ემყარება.

დასკვნები და რეკომენდაციები მასწავლებლების საწყის და პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებით

- ამჟამად, საწყისი პედაგოგიური განათლების (ITE) ეტაპზე მასწავლებლებისათვის ციფრული წიგნიერების კურსები ხშირ შემთხვევაში სავალდებულო არ არის.
- თანამედროვე განათლებაში ციფრული წიგნიერების მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ **ციფრული წიგნიერების კურსები გათვალისწინებული და ინტეგრირებული იყოს საწყის პედაგოგიურ განათლებაში (ITE).** იდეალურ შემთხვევაში, საწყისი პედაგოგიური განათლების (ITE) ყველა პროგრამა და კურსი ციფრული წიგნიერების ელემენტებს უნდა შეიცავდეს.
- DigCompEdu (მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციების ევროპული ჩარჩო), რომელიც აღწერს, თუ რას ნიშნავს ციფრულად კომპეტენტური პედაგოგი და განსაზღვრავს 22 ძირითად კომპეტენციას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწყის და პროფესიულ პედაგოგიურ მომზადებაში.
- საწყისი პედაგოგიური განათლების (ITE) ყველა კურსში ციფრული წიგნიერების ელემენტების ინტეგრირების გარდა, რეკომენდებულია საწყისი პედაგოგიური განათლების (ITE) ყველა დაწესებულებაში **დეზინფორმაციასთან ბრძოლის, მდგრადობის გაძლიერების, აგრეთვე ასევე ციფრული და ინფორმაციული წიგნიერების სპეციალური კურსების დანერგვა**. ეს კურსი მასწავლებელთა მომზადების ყველა პროგრამის სავალდებულო ნაწილი უნდა იყოს.
- **მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება აქტიური სწავლებით უნდა მიმდინარეობდეს.** ის უნდა იყოს ლოკალიზებული, ხანგრძლივი, მონაწილეობრივი და საგანმანათლებლო პრაქტიკასთან დაკავშირებული. პროფესიული პედაგოგიური განათლება (CPD) უნდა იყოს მორგებული როგორც სკოლების, ასევე განათლების ეროვნული ჩარჩოების მოთხოვნებზე.
- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მასწავლებელთა **პედაგოგებისა და პროფესიული განვითარების პროვაიდერების, როგორც ცოდნის გამავრცელებლების, მომზადებას**.

- საწყისი პედაგოგიური განათლებისა (ITE) და პროფესიული პედაგოგიური განათლების (CPD) პროცესში **გამოყენებული უნდა იყოს მიმზიდველი და საინტერესო მასალები და მიდგომები, რომლებმაც, ძირითადად შეფასების გზით, დაადასტურეს საკუთარი ღირებულება**. ამასთან ერთად აუცილებელია მოქნილობა კულტურული და სხვა სიტუაციური ფაქტორების გათვალისწინებით. მასალები და მიდგომები აუდიტორიის ასაკის შესაბამისი უნდა იყოს.
- საწყისი პედაგოგიური განათლების (ITE) და პროფესიული პედაგოგიური განათლების (CPD) პროცესებში მიზანშეწონილია **მასწავლებლებისა და პედაგოგების ჩართვა ციფრული წიგნიერების ხელშემწყობ ეროვნულ და საერთაშორისო ინიციატივებში.** ეს ხელს შეუწყობს გამოცდილების გაზიარებას და ციფრული წიგნიერების კარგი პრაქტიკის გავრცელებას ევროკავშირის მასშტაბით.
- აუცილებელია როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს შორის **ციფრული წიგნიერების საბაზისო დონის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება**. სკოლებს, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ შეფასების წესები, რომლებიც თითოეული საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით იქნება მომზადებული. შეფასების ერთიანი სტანდარტების გამოყენება ხელს შეუწყობს ხარვეზების უკეთ გამოვლენასა და იმ მიმართულებების დადგენას, სადაც საჭიროა გამოსასწორებელი ზომების მიღება.
- მასწავლებლებს **სჭირდებათ სპეციფიური ტრენინგი და მითითება, თუ როგორ შეაფასონ** ციფრული წიგნიერების უნარების ათვისების კუთხით მათი მოსწავლეების მიერ მიღწეული წარმატება.
- მასწავლებლებისთვის ასევე სასარგებლო იქნება სპეციფიური ტრენინგი საკუთარი ციფრული წიგნიერებისა და ციფრული წიგნიერების ათვისებაში მათ მიერ მიღწეული შედეგების შეფასების მეთოდებზე. იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლიათ საუკეთესოდ შეაფასონ და საკუთარი პროგრესი ციფრულ წიგნიერებაში.
- სასარგებლო იქნება **მოსწავლეების ციფრული წიგნიერების უნარების სისტემატური შეფასება** რეგიონულ/ეროვნულ/ევროკავშირის დონეზე. ამ გზით შესაძლებელი იქნება ვითარების საერთო სურათის დანახვა და შეფასება.